საქართველოს მთავრობის

დადგენილება №592

2021 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, 240110000.10.003.018341) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის“:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) მაღალმთიან რეგიონში არაქარხნული წესით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და პირველად წარმოებას;“.

2. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პირობითი აღიარების ვადის გასვლის შემდეგ განმეორებითი ინსპექტირების დროს გამოვლინდა, რომ ბიზნესოპერატორს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს საქმიანობა ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდების გარეშე.“.

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში ცვლილებების, საქმიანობის დროებით შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.“.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 4 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.
2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**